

ქართველი სტუდენტი დუკა დომთაძე Facebook-ის თანამშრომელი გახდა



სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი Facebook-ის თანამშრომელი გახდა. დუკა დომთაძე სტაჟირებას Facebook-ის სათავო ოფისში გაივლის. ინფორმაციას სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ავრცელებს.

დუკა გაცვრითი პროგრამით ამერიკაში იმყოფება, სადაც მან “ფეისბუქთან” გასაუბრების რამდენიმე ეტაპი გაიარა. დუკა “ფეისბუქმა” 250 000 სტუდენტიდან საუკეთესო 300 სტუდენტს შორის შეარჩია და ზაფხულში მენლო პარკში, სიდიკონ ვერიზე მიიწვია სოფტვეარ დეველოპერად. ეს პირველი შემთხვევაა როდესაც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ფეისბუქში დასაქმდა. დუკა კომპიუტერული ინჟინერიის მესამე კურსის სტუდენტია. 2017 წელს ის გაცვრითი ვიზიტით გაემგზავრა სან დიეგოში. კარიფორნიაში ჩასვრიდან მარევე გადაწყვიტა ფეისბუქის ყველაზე მოთხოვნად პროგრამაში მონაწილეობის მიღება.

„ჯერ კიდევ მეხუთე კლასში დავწერე ჩემი პირველი კოდი და გადავწყვიტე, პროგრამისტი გამოვსურდიყავი. იმ დროიდან მოყოლებული, უამრავ პროექტზე ვიმუშავე, რომელთა უმეტესობა ამჟამადაც აგრძელებს არსებობას. Facebook-ში მოხვედრა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო და ვიცოდი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მივაღწევდი დასახურ მიზანს“ – ამბობს დუკა და იხსენებს ფეისბუქის რეკრუტერის ნათქვამს, რომ მენლო პარკში მარც ცუკერბერგსაც შეხვდება.

